ეროვნული თავისუფლების გზით ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 9 (1410) 23-30 მარტი, 1995 წ.

ესროლეს თემურ ჟორჟოლიანს

ჟორჟოლიანი ბრალს სდებს უმაღლეს ხელისუფლებას

*

საქართველოსთვის გამოყოფილი 50000 ტონა ნავთობი გაყიდულა სალონიკში

*

საზღვარგარეთის ბანკებში გატანილია მილიონობით თანხა

Ინფორმაცია მოსალოდნელი ტერორისტული აქტის შესახებ კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარეს ჰქონდა. უფრო მეტიც, მან განაცხადა, რომ წინასწარ შეატყობინეს იმ უკვე მომხდარი თავდასხმების შესახებაც, რომლებიც გიორგი ჭანტურიას და ყარყარაშვილ-დათუაშვილის წინააღმდეგ განხორციელდა. ოღონდ პირველ შემთხვევაში არ იყო გაცხადებული, თუ ვისზე მოხდებოდა თავდასხმა. მეორე შემთხვევაში კი ნათქვამი იყო მხოლოდ ის, რომ ტერორისტული აქტი ჩატარდებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართველი ტერორისტების მიერ.

21 მარტს თემურ ჟორჟოლიანი პარლამენტის სხდომაზე ზოგადად ტერორისტული აქტების შესახებ განცხადების გაკეთებას აპირებდა. წინა დღეს ჟორჟოლიანს დაუსახელეს კონკრეტული ქუჩები — პეროვსკაია და ქიაჩელი, სადაც სავარაუდოდ მას თავს დაესხმოდნენ. ოცდაერთში, დილით თანმხლები პირების დაჟინებული თხოვნის გამო მანქანის საჭესთან არ დამჯდარა, იგი თავის დასთან ერთად უკანა სავარძელზე იმყოფებოდა. სახლიდან გამოსულებმა (ჟორჟოლიანი აეროპორტის დასახლებაში ცხოვრობს) შეცვალეს ტრადიციული მარშრუტი. გზაზე მათ წამოეწია თეთრი ფერის „ვაზ“ 2106 მარკის ჟიგული და

გაგრძელება მე-2 გვ.

უზარუნდებით დაბეჭდილს

დეპუტატ დავით ბერძენიშვილს ასლან აბაშიძის მკვლელობა სურდა — აბაშიძის ამ ბრალდებას უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ იგორ გიორგაძემ თითიდან გამოწოვილი ამბავი უწოდა, უფრო საინტერესოა ამ საკითხზე თვით ბატონი ასლანის პირადი მრჩევლის აზრი...

Ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა რედაქციის საგამომძიებო-ოპერატიული ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, პარლამენტარ დავით ვალერიანის ძე ბერძენიშვილის ტერორისტული საქმიანობის შესახებ. ამ პუბლიკაციამ, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ისე ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგრამ მას შემდეგ,რაც გამოქვეყნდა რამოდენიმე ფრაგმენტი მოკვლეული მასალებიდან, ოპერჯგუფის საქმიანობა მოულოდნელად შეფერხდა. გაჩნდა სრულიად გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები, ახალი მასალების მოძიება და შესაბამის პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარება აშკარად ჭიანურდება. ყოველივე ამასთან დაკავშირებით გაკეთდა განცხადება, რომელიც უკვე გადაიცა „ევრონიუსის“, სი-ენ-ენის, „ტვ-5“-ისა და ადგილობრივი საკაბელო ტელეკომპანია „საქართველოს ეთერის“ — არხებით. გთავაზობთ განცხადების ტექსტს.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის საგამომძიებლო-ოპერატიული ჯგუფის სპეცპრესსამსახურის განცხადება

Როგორც ცნობილია, რედაქციის საგამომძიებლო-ოპერატიული ჯგუფის მუშაობის შედეგად მხილებული იქნა საქართველოს პარლამენტის, ასევე ჩვენი გაზეთის რედკოლეგიის წევრის, დავით ვალერიანის ძე ბერძენიშვილის საიდუმლო ტერორისტული ჯგუფის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. კერძოდ, საბოლოოდ და ეჭვმიუტანლად დადგინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეზე, ბ-ნ ასლან აბაშიძეზე თავდასხმის განზრახულობა მისი ფიზიკური განა-

გაგრძელება მე-2 გვ.

ყველას თავისი სერგო ორჯონიკიძე ჰყავს

აზერბაიჯანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სურეთ ჰუსეინოვი: „აზერბაიჯანში აფეთქება იგრიალებს“

სურათზე: ა. მუტალიბოვი (მარჯვენივ) და ი. ჰუსეინოვი: „კავშირი ეშმაკის წინააღმდეგ?

— როგორ ფიქრობთ, რისი ეშინია აზერბაიჯანის ხელისუფლებას?

მე შემიძლია მოკლედ გიპასუხოთ, რომ აზერბაიჯანის ცენტრალურ ხელისუფლებას პანიკურად ეშინია ჩვენმა მოქალაქეებმა არ გაიგონ, რომ აიაზ მუთალიბოვი და მე ვაგრძელებთ დიქტატორულ რეჟიმთან ბრძოლას. მაგრამ ეს იქნება სიმართლის მხოლოდ ნაწილი.

სიმართლე კი იმაში მდგომარეობს,

გაგრძელება მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესროლეს თემურ ჟორჟოლიანს

პირველი გვერდიდან

როცა მათ მანქანას გაუსწორდა, სვლა შეანელა. ჟიგულში 3-4 ადამიანი იმყოფებოდა, რომლებიც რამდენიმე ხანს ასე გვერდიგვერდ მისდევდნენ ჟორჟოლიანის მანქანას. ჟორჟოლიანს მძღოლისთვის უთქვამს,რომ სვლა შეენელებინა და ჟიგული გაეტარებინა. მანქანის შენელებამ ოდნავ დაასწრო პისტოლეტის გასროლას და ტყვიამ საჭრე მინაში გაიარა. თეთრმა ჟიგულმა კი არცთუ დიდი სიჩქარით დატოვა შემთხვევის ადგილი. მომხდარი ფაქტის შესახებ ჟორჟოლიანმა მაშინვე შეატყობინა აეროპორტის ბაზაზე გაჩერებულ სამხედროებსა და პოლიციელებს, რომლებიც ტერორისტებს დაედევნენ. ცნობილია მხოლოდ თეთრი ჟიგულის სახელმწიფო ნომერი და ის, რომ ამ მანქანიდან მეტროს სადგურთან გადმოვიდა შავკურტკიანი კაცი და მეტროშივე მიიმალა.

თემურ ჟორჟოლიანის თქმით, ეს ფაქტი ნაწილია იმ ტერორისტული აქტებისა, რომლებიც საქართველოში გარკვეული გრაფიკით სრულდება და იგივე ჟორჟოლიანის სიტყვებით, ორგანიზებულია უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის შეკვეთას ასრულებენ. მიზეზი შეიძლება იყოს კონსტიტუცია, — თქვა ჟორჟოლიანმა. — შევარდნაძეს [illegible] კონსტიტუციის პროექტის მიღება, სადაც გათვალისწინებულია საპრეზიდენტო მმართველობა. უფრო მეტიც, მას უნდა, რომ ეს კონსტიტუცია პარლამენტმა მიიღოს. ამის დამადასტურებელი საბუთია შევარდნაძის წერილი, რომელიც დეპუტატებს დაურიგდათ და სადაც ეს აზრი ცალსახადაა გამოყოფილი. ასეთი კონსტიტუციის მიღებაში ჩვენ მას ხელს ვუშლით — განაცხადა ჟორჟოლიანმა.

მისი თქმით, თუ შევარდნაძისეული კონსტიტუციის მიღების შესაძლებლობა არ იქნება, რაც ალბათ შევარდნაძის ხელისუფლების გახანგრძლივებას საფრთხეს შეუქმნის, მაშინ ხელისუფლება ეცდება არჩევნების გადადებას და სიცოცხლის ამ გზით გახანგრძლივებას. ამდენად, რესპუბლიკელების მცირე კონტიტუციის იდეას სამართლიანი ცდები უწოდა.

ტერორისტული აქტების შესაძლო მიზეზად თემურ ჟორჟოლიანმა დაასახელა ისიც, რომ პირები, რომლებსაც თავდასხმის საშიშროება ემუქრებათ, ფლობენ ხელისუფლების მაკომპრომიტირებელ ინფორმაციას. ჟორჟოლიანმა თქვა, რომ შეუძლია დაასახელოს საზღვარგარეთის ბანკები და ანგარიშის ნომრები, სადაც უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ საქართველოდან ყოველგვარი გადასახადის გარეშე გატანილი ფული ინახება. ფული, რომლის თავწყაროც მილიარდს გადაჭარბებული სახელმწიფო სესხია.

ჟორჟოლიანმა ილაპარაკა 50000 ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომელიც გამოსაზამთრებლად საქართველოს დახმარების სახით გამოუგზავნარუსეთმა. მაგრამ გემი აღნიშნული ტვირთით საქართველოს პორტებში შემოუსვლელად ქ. სალონიკში გაიყიდა. ამ ფაქტზე საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ნოტა. და მხოლოდ ამ საქმის გახმაურების შემდეგ ხაზინაში შეტანილი იქნა 3 მილიონი დოლარი. — აღნიშნული ვითარება ცხადყოფს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება უკიდურესად კორუმპირებულია და მათ ედუარდ შევარდნაძე მფარველობს, თქვა ჟორჟოლიანმა.

— სწორედ იმის გამო,რომ ოპოზიცია ცდილობს ამხილოს ხელისუფლება, მიმართავენ ტერორისტულ აქტებს. თითქმის ყველა ჩემთან დაახლოებულ პირს აწუხებს უშიშროების სამსახური, ატარებენ ჩხრეკვებს. მე ხელს ვერ დავადებ ვერცერთ კონკრეტულ სამსახურს, მაგრამ მთელი ეს ტერორისტული აქტების კასკადი დაგეგმილია ედუარდ შევარდნაძის შეკვეთით, — ასეთი იყო თემურ ჟორჟოლიანის აზრი.

პრესკონფერენციის დასასრულს ჟორჟოლიანს დაურეკა დემურ მიქაძემ, როგორც შემდეგ გაირკვა, იგი შეპირდა, რომ დამნაშავეს საფლავიდან ამოვიყვანთ და საქმეს მაინც გავხსნით. — არა უშავს, თუ ვერ იპოვნით, ალბათ ლისტევის ამბები არ განმეორდება და სამსახურიდან შენ არ მოგხსნიანო, — იხუმრა ჟორჟოლიანმა.

ნანა გოდერძიშვილი

დეპუტატ დავით ბერძენიშვილს ასლან აბაშიძის მკვლელობა სურდა — აბაშიძის ამ ბრალდებას უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ იგორ გიორგაძემ თითიდან გამოწოვილი ამბავი უწოდა, უფრო საინტერესოა ამ საკითხზე თვით ბატონი ასლანის პირადი მრჩევლის აზრი...

პირველი გვერდიდან

დგურების მიზნით.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ოპერჯგუფის მიერ მოკვლეული მასალები სრულიად საკმარისია,რათა შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა უსწრაფესი რეაგირება მოახდინონ — საქმე მკვდარი წერტილიდან არ იძვრის. მოქ. ბერძენიშვილს მოულოდნელად გამოუჩნდა უამრავი „არამკითხე ადვოკატი“ ძლიერთა ამა ქვეყნისაა მხრიდან. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ, იგორ გიორგაძემ, გაზ. „კავკასიონისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, ბერძენიშვილის წინააღმდეგ ბრალდებას „თითიდან გამოწოვილი“ (sic!) უწოდა! (იხ. გაზ. „კავკასიონი“ 21 მარტი. 1995). ეს კიდევ არაფერი. რამდენადაც ჩვენთვის (და არა მარტო ჩვენთვის) ცნობილია, ბ-ნი იგორი თვითონაც დიდი ხანია აპირებს ასლან აბაშიძის ლიკვიდაციას და ამიტომ, ბუნებრივია, ხელს აფარებს „კოლეგას“. უშუალოდ გიორგაძე-ბერძენიშვილის ალიანსი ჯერ-ჯერობით არ დასტურდება, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას ნამდვილად აქვს პერსპექტივა. ეს პერსპექტივა კი პერსპექტივად დარჩება, თუკი რედაქციის საგამომძიებლო-ოპერატიულ ჯგუფს არ მიეცა ნორმალური მუშაობის საშუალება, რაც ჩვენს მიერ მოძიებული მასალების მიმართ საყოველთაო უნდობლობისა და ურწმუნობის ატმოსფეროში, უბრალოდ შეუძლებელი ხდება.

ბოლო დრომდე იმედი გვქონდა, რომ საკუთრივ აჭარიდან მაინც შეგვეხმიანებოდნენ, მაგრამ რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როცა გავეცანით თვით ბ-ნი ასლანის მრჩეველის, ლაზარე (იგივე გელა) ზაქარიაძის ვრცელ წერილს „ამინ, ბატონო იგორ, ამინ“ (?). ამ პუბლიკაციაში (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა 18 მარტი, 1995 წ.) ავტორი ფაქტიურად ეთანხმება უშიშროების სამსახურის შეფს, რომ აბაშიძეს ძლიერი და გონიერი ოპოზიცია ჰყავს“ (!). ამას მერე კი შავით თეთრზე წერია: „რაც შეეხება ასლან აბაშიძის იარაღით დამხობას, ოღონდ თავად (იგულისხმება იგორ გიორგაძე. ზ.დ.) ნუ დაგეგმავს ამას მაღლიდან... და რესპუბლიკელები ხატზე დაიფიცებენ, რომ ასეთ რამეს არ იკადრებენ“.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია! რას ჰქვია არ იკადრებენო, მაგისთანები უკადრებიათ? თუ დ.ვ. ბერძენიშვილი ბ-ნ ლაზარეს არ მიაჩნია გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრად? უცნაური რამ გამოდის, ბატონებო! ჩვენ ვყვირივართ: ტერორისტია, მკვლელია და ბანდიტიო. პროკურატურა, პოლიცია, მთავრობა, პარლამენტი, სახელმწიფოს მეთაური კი დუმს (უშიშროების სამსახურზე ლაპარაკიც კი ზედმეტია). ეტყობა არ ჯერათ ბერძენიშვილის ტერორისტობა! თუმცა სხვას რა უნდა მოვკითხოთ, როცა თვით ბ-ნ ასლან აბაშიძის მრჩეველიც იგივეს ფიქრობს? რისთვის ვიკლავთ თავს, რისთვის ვარისხებთ განგაშის ზარებს, თუ კაცისშვილი არ დაგვიჯერებს არც ჩვენ, არც ბ-ნ ასლან აბაშიძეს?

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის საგამომძიებლო-ოპერატიული ჯგუფის სპეცსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ რახან ჩვენი საქმიანობა მავანს და მავანს ყელში ძვალივით ეჩხირებათ, რახან ისინი, ვისაც შეუძლია რეალური ზომების მიღება, თითის განძრევასაც აპირებენ, რახან ვერც ბ-ნი ასლან აბაშიძის და ვერც ჩვენი გაზეთის ავტორიტეტი საკმარისი ვერ აღმოჩნდა კომპეტენტურ ორგანოთა დასარწმუნებლად,ერთი სიტყვით, რახან არავინ იჯერებს მოქ. ბერძენიშვილის ტერორისტობას,იძულებული ვართ შევწყვიტოთ დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება. ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია. ჩვენ მოცლილები ხომ არ ვგონივართ ვინმეს? ხალხი ვართ, ბოლოს და ბოლოს. მოგვბეზრდა ბატონო ამდენი ფუჭსიტყვაობა, თუ არავის არაფრის გაკეთება არ გინდათ, ჩვენ რომელი სულელები გვნახეთ.

ვერავის ვერ დავაჯერეთ მოქ. დ.ვ. ბერძენიშვილის ტერორისტობა, ვერც უშიშროებას, ვერც პოლიციას, ვერც მოქალაქეებს, რაც მთავარია, ვერც ასლან აბაშიძის პირად მრჩევლებს და ვგონებთ, თვით ბატონი ასლანიც დაეჭვებულია, მართლა მე ხომ არ გამოვიგონე ეს ამბავიო. აქედან გამომდინარე ჩვენ ვწყვეტთ ოპერატიულ მუშაობას და გულდათუთქულებს ხელიც ჩაგვიქნევია.

გაზ. „საქართველოს“ ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფის სპეცსამსახურის ხელმძღვანელი

ზურაბ დავითაშვილი

სურეთ ჰუსეინოვი: „აზერბაიჯანში აფეთქება იგრიალებს“

პირველი გვერდიდან

ის რეჟიმი და მე ფაქტიურად მთლიანად ვაკონტროლებდი სიტუაციას აზერბაიჯანში, ის ძალაუფლება, რომელიც მაშინ გამაჩნდა, მე საკუთარი ხელით გადავეცი ჰეიდარ ალიევს. ის გახდა პრეზიდენტი, ხოლო მე პრემიერ-მინისტრი. იმ ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, რაც ამ პოსტზე ვიმყოფებოდი, სანამ ის მოტყუებით ჩამომაგდებდა, მე საკმაოდ ბევრი გავიგე ამ ადამიანის სახის მქონე ეშმაკზე.

— რამ გაიძულათ თქვენ ხელისუფლება გაგეყოთ ალიევისათვის?

მე იძულებული ვიყავი ეს გამეკეთებინა. მიუხედავად იმისა, რომ ის 1988 წლიდან მუდმივად ცხოვრობდა თავის სამშობლოში ნახჭევანში, სადაც მას ეკავა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, თვითონ ის და მისი კლანიც ეწეოდნენ კოლოსალურ სამუშაოს, რათა დაებრუნებინათ თავიანთი გავლენა. ალიევის იგნორირება იმ მომენტში უბრალოდ შეუძლებელი იყო. დღეს შეიძლება ითქვას, რომ მოვლენები, რომელიც ხდებოდა აზერბაიჯანში 1988 წლის შემდეგ, მიმდინარეობდა ჰეიდარ ალიევის მიერ დამუშავებული სცენარის მიხედვით. მან მართლაც მოახერხა ის, რომ მისი დაბრუნება ყოფილიყო გარდაუვალი.

როცა 1993 წლის 4 ივნისს განჯაში ჩემი ხელმძღვანელობით მოხდა სახალხო აჯანყება, ალიევი დაუყოვნებლივ მოვიდა ჩემთან განჯაში, სადაც ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს პირისპირ.

— რაზე საუბრობდით?

— მე მას ვუთხარი, რომ მას აქვს ხელისუფლებაში ყოფნის უდიდესი გამოცდილება, სწორედ ამიტომაც ვთხოვ მას მოიხსნას თავისი ძველი ნიღაბი და ხალხის წინაშე წარსდგეს სულ სხვა სახით. არ არის საჭირო კიდევ ინტრიგები, მოდით ვილაპარაკოთ და ვიმოქმედოთ ღიად.

— ძალიან გულუბრყვილოდ ჟღერს.

— დიახ, გულუბრყვილოდ, მაგრამ მე ხომ მაშინ არ მქონდა სერიოზული პოლიტიკური გამოცდილება და ალიევი ამას მიხვდა. მან მითხრა, რომ ცოტაოდენი სიცოცხლე დარჩენია და ერთადერთ მიზანს ხედავს იმაში, რომ მომეხმაროს ქვეყნის მართვის სწავლაში და შემდეგ გადმომცეს მმართველობის საჭე.

მაშინ ის გამოიყურებოდა მართლაც ძალიან დაჩაჩანაკებულად და მე ვიფიქრე, რომ ღირს მის ამ წინადადებაზე დათანხმება, რომ ის გახდეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მე პრემიერი...

— მაგრამ მაგგვარი განლაგებით მისი ძალაუფლება იქნებოდა ნომინალური, ხოლო თქვენი — რეალური.

— დიახ, მაშინ ჩვენ სწორედ ამაზე შევთანხმდით. „შაჰი“ მე უნდა ვყოფილიყავი, ხოლო „ვეზირი“ ის, ის ამაში დამეთანხმა და გაემგზავრა ბაქოში. მაგრამ როცა მეც მას უკან მივყევი, მან მიმიწვია სასაუბროდ და მითხრა: „მე ვწერ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ ფურცლებს, ამიტომ პატივი მეცი: მე ვიქნები პირველი, ხოლო შენ ჯერ-ჯერობით მეორე“.

— მაშასადამე შეიძლება ითქვას, რომ ინტრიგების ოსტატმა ალიევმა ამ რაუნდში გაჯობათ?

— ტაქტიკის მხრივ — კი, მაგრამ თუ ღრმად ჩავხედავთ, მე ვფიქრობ რომ მან წააგო. გახდა რა „შაჰი“, ალიევმა გახსნა თავისი არსება ხალხის წინაშე და საბოლოოდ დისკრედიტაცია გაუწია

გაგრძელება მე-7 გვ.

პროვინციული ფაშიზმის, ოპოზიციისა და პოზიციის, ჩეკისტების და კიდევ იმის შესახებ, თუ როგორ გალანძღა ბატონი თემურ შაშიაშვილი ჟურნალისტმა, რომელსაც მისი შექება სურდა



როგორც ყოფილი პრემიერი, ამჟამად ეჭვმიტანილი თენგიზ სიგუა ამბობდა — ხოლმე, საქართველო ღარიბია ენერგორესურსებით, სამაგიეროდ, მდიდარია ინტელექტუალური პოტენციალით. შესაძლოა ეს მართლაც ასეა, ანდა, სულაც პირიქით: ყოველ შემთხვევაში, ამ ბოლო დროს იმდენს ლაპარაკობენ „ბათუმის გაზზე“ და „სუფსის ნავთობზე“, რომ სპეციალისტთა ოპტიმისტური პროგნოზები სანახევროდ მაინც თუ გამართლდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ხოლო რაც შეეხება ინტელექტუალურ პოტენციალს, თუკი რაიმეს დეფიციტი შეიგრძნობა დღეს საქართველოში, ეს სწორედ ინტელექტის, გონიერების, თუნდაც კარტეზიანული „საღი აზრის“ დეფიციტია. ელემენტარული უმეცრება, არაკომპეტენტურობა, თანამედროვე ქართული ყოფის ჭეშმარიტად „თანამდევი სულია“, რომლის „კაშკაშა“ გამოვლინებაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. თვითეული მათგანი, ცალკე აღებული თითქოს წვრილმანია. ოღონდ ეს ისეთი წვრილმანებია, ერთად შეკრებილი რომ კარგად გვიჩვენებს თუ სადა ვართ და რა ქვეყანაში ვართ... ქვემოთ გთავაზობთ ოთხიოდე ასეთ „მარგალიტს“. ჯერ ეს ვიმყოფინოთ და დანარჩენი სხვა დროს იყოს.

პოზიცია და ოპოზიცია

ეს ფსევდოანტინომია, ვითომდა ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებათა შეპირისპირება, ისე დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურ ლექსიკაში, ერთგვარ კლიშედაც კი იქცა. ბევრი მას უკვე სრულიად ანგარიშმიუცემლად ხმარობს, მიუხედავად იმისა, რომ მართალია კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც ითქვა: ამ ცნებათა დაპირისპირება სრული ნონსენსია. **პოზიციის** საპირისპირო შინაარსი ოპოზიცია კი არ არის, არამედ **პოზიციის არსებობა**, ასევე **ოპოზიციის** საპირისპიროა — **ხელისუფლება.** ფსიქოლოგ გაგა ნიჟარაძის მოსწრებული (და სამართლიანი) შენიშვნისა არ იყოს, პოზიციისა და ოპოზიციის ანტინომიდ წარმოსახვა იგივეა, რომ **ბორტის** საპირისპიროდ **აბორტი** თქვა კაცმა. თუმცა, ჩვენს აბსურდულ ფანტაზიას ჭეშმარიტად „არ აქვს სამზღვარი“ და ერთი უაზრობიდან უკვე ავტომატურად იშვა მეორე ღირშესანიშნავი ტერმინი — **პოზიციონერი** (!!!) არც ის გაგვიკვირდეს, ვინმე თუ იკითხავს, **როგორია ამა და ამ საკითხზე პოზიციის პოზიციაო;** გონებაში გამჯდარი სტერეოტიპისგან განთავისუფლება, რაოდენ აბსურდულიც უნდა იყოს იგი— არც ისე ადვილი საქმეა. მითუმეტეს, როცა აბსურდი — ლამის ცხოვრების წესადაა ქცეული.

პროვინციული ფაშიზმი

კიდევ ერთი ბრწყინვალე ნიმუში ჩვენებურ მოინტელიგენტო ინტელექტუალთა ძალისხმევისა. ფაშიზმი რაც არის— გასაგებია. სიტყვა „პროვინციული“ კი როგორც წესი, ორგვარი გაგებით იხმარება: იგი ან ჩამორჩენილობის, არაცივილიზებულობისა და უკულტურობის სინონიმია, ან მცირე, უმნიშვნელო მასშტაბებს აღნიშნავს. **მოწინავე, ცივილიზებული და კულტურული ფაშიზმი** რომ არ არსებობს, ამაში ალბათ ყველაზე შეურიგებელი ანტიზვიადისტიც დამეთანხმება. ფაშიზმი, თავისი არსით ყველგან და ყოველთვის პროვინციულია. რაც შეეხება მასშტაბებს, თუკი საქართველო იმთავითვე პროვინციად, სადღაც ქვეყნის დასალიერში მიგდებულ კუთხე-კუნჭულად მიგაჩნია, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ თუკი საკუთარი სამშობლოს მიმართ ოდნავი პატივისცემა მაინც გაქვს შემორჩენილი, ვერანაირად ვერ უწოდებ **პროვინციულს (გეოგრაფიული თვალსაზრისით)** იმ რეჟიმს, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავდა. თუმცა პატრიოტიზმი აქ არაფერ შუაშია, მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმი უკვე ვერანაირად ვერ ჩაითვლება პროვინციული მასშტაბის რეჟიმად,რადგან საქმე ეხება მთლიანად სახელმწიფოს და არა ერთ პატარა სოფელს... მოკლედ, ყველა შემთხვევაში ზვიად გამსახურდიას მმართველობისპერიოდის **პროვინციულ ფაშიზმად** მონათვლა აბსოლუტური უზუსტობაა და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ „ტერმინის“ წამდაუწუმ წამოძახებით გამსახურდიას რეჟიმთან შედარებით ახლანდელი ხელისუფლების უპირატესობას ამტკიცებს, ძალიან შემცდარია. ეს სხვა არაფერია, თუ არა სწორედ პროვინციალიზმის (არა გეოგრაფიულის, რალა თქმა უნდა) უტყუარი დასტური.

ჩეკისტი

რა იყო „ჩეკა“ და ვინ იყვნენ „ჩეკისტები“ — ქართველი კაცისთვის ამის შეხსენება, ცოტა არ იყოს, უხერხულიცაა. უამრავი ცოცხალი მოწმე არსებობს იმ ავბედითი დროების, როცა ნებისმიერი მოქალაქე შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ როგორც „კონტრრევოლუციონერი“. მოგვიანებით, სიტყვა „ჩეკისტი“ საბჭოთა მილიციელების დადებით მახასიათებლად იქცა ოფიციოზის ფნაზე, რაც ალბათ „ტრადიციის“ უწყვეტობაზე, საბჭოური სამართალდამცავი ორგანოების მემკვიდრეობითობაზე მიუთითებდა. როცა მილიციელის პროფესიონალური ღირსებები უნდა შეექმთ, „კარგი ჩეკისტიაო“. იტყოდნენ... ეს ყველაფერი თითქოს უკვე წარსულს უნდა ჩაბარებოდა, მაგრამ ეტყობა ჩვეულება მართლაც რჯულზე უმტკიცესია. ამქვეყნიდან წასული პოლიციელის მიმართ ძალზე ხშირად გაიელვებს ხოლმე, რომ „ის იყო ნამდვილი ჩეკისტი!“ (უკანასკნელად მსგავსი რეციდივი აღინიშნა ბ-ნ კორნელი ჩალაძის სატელევიზიო ნეკროლოგში). ამგვარი „ჩვეულება“, რასაკვირველია, კვლავ ჩვენი კლიშირებული, გადაგვარებული ცნობიერების გამოვლინებაა,რადგან შეუძლებელია ჭირისუფალიგარდაცვლილ ადამიანს განზრახ აყენებდეს შეურაცხყოფას. „ჩეკისტი“ — საგინებელი სიტყვაა, (როგორც „ესესელი“) და არა საქებარი, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს, თუმცა დღეს ჩვენში ისეთი „კომუნისტური რენესანსია“, გასაკვირი არ იქნება თუ „შინისახკომელიც“ აღსდგება მკვდრეთით, „წითელარმიელებზე“ რომ არაფერი ვთქვათ...

შაშიაშვილი საოცრებათა ქვეყანაში

ამას წინათ ტელევიზიით გადაიცა სიუჟეტი ქ. ქუთაისის მერის, ბ-ნ თეიმურაზ შაშიაშვილის პრეს-კონფერენციის შესახებ. რეპორტაჟის ავტორი არ დაკმაყოფილდა პრეს-კონფერენციის მოკლე შინაარსის მოყოლით და უაღრესად საინტერესო კომენტარიც დაურთო, ბ-ნი თემურის ნაამბობით ისეთი ლამაზი სურათი დაიხატა, იქ დამსწრე ჟურნალისტებს ჩვენი ბავშვობის საყვარელ ზღაპარში, ალისას „საოცრებათა ქვეყანაში“ გვეგონა თავიო.

სხვებისა არ ვიცი, მაგრამ სიუჟეტის ავტორის მიმართ კი თამამად ვიტყვი: ლუის კეროლის ცნობილი შედევრი არათუ მისი საყვარელი ზღაპარი არ არის, არამედ წაკითხულიც არა აქვს! წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად ეცოდინებოდა, რომ „საოცრებათა ქვეყანა“ სულაც არ არის „მშვენიერი, ჯადოსნური სამყარო“. იგი სწორედ პარადოქსების, ნონსენსების, აბსურდული სიტუაციებისა და შერეკილი პერსონაჟების სამკვიდრებელია. ჟურნალისტს მისდაუნებურად ისე გამოუვიდა, თითქოს ბ-ნი თემური ჯერაც არნახულ უაზრობებს ლაპარაკობდა... მოკლედ, კვლავ უნებლიე შეურაცხყოფა, კვლავ ელემენტარული უვიცობა. ისე, თანამედროვე საქართველო მართლაც ძალიან მოგვაგონებს კეროლი „საოცრებათა ქვეყანას“.

დავით ზურაბიშვილი

როცა სკამის შესანარჩუნებლად ყველაფერს კადრულობენ ანუ აჭარა ასლან აბაშიძე არ არის...

„რა ხდება აჭარაში?“ — ამ სათაურით „ლიტერატურული საქართველოს“ 1994 წ. 18 მარტის ნომერში დაიბეჭდა ლ. ბიბილეიშვილის წერილი. ავტორის თქმით, უკანასკნელ ხანებში „ზოგიერთმა პოლიტიკოსმა თუ მეცნიერმა ეჭვის თვალით შემოხედა აჭარას...“ აჭარის ხელისუფლების ოპოზიციონერთა აზრებმა, თურმე ნუ იტყვით, „აჭარასა და მის ფარგლებს გარეთ მკითხველთა გარკვეულ წრეებში გამოიწვია ეროვნული ცნობიერების აშკარა დამახინჯება, უნდობლობა, ეჭვი...“ მდგომარეობა თურმე იმდენად დაძაბულა, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია და პროფესორი გურამ შარაძე იძულებული გამხდარან ხელახლა გამოექვეყნებინათ „დროების“ 1878 წ. 23 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, ალ. ზუბალაშვილის სიტყვები, რომელიც მათ წარმოუთქვამთ საზეიმო სუფრაზე აჭარის წარმომადგენელთა წინაშე.

სამწუხაროდ, არც დასახელებული წერილიდან, არც ბატონი გურამ შარაძის პუბლიკაციიდან კონკრეტულად არ ჩანს და ამიტომ მკითხველისათვის დღემდე გაურკვეველი დარჩა, რა აუცილებლობას წარმოადგენდა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ქართულ მოღვაწეთაგან წარმოთქმული სიტყვების ხელახლა გამოქვეყნება. ან თუნდაც, რა თქვეს ისეთი აჭარის დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციონერებმა, რასაც შეეძლო გამოეწვია ჩვენი „ეროვნული ცნობიერების აშკარა დამახინჯება, უნდობლობა, ეჭვი“ ეს კითხვა ხელახლა წამოიჭრა ჩვენს [illegible]ში, როცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონი ასლან აბაშიძის გაზეთ „კავკასიონისათვის“ (7.02.1995) მიცემულ ინტერვიუს გავეცანით.

ბატონ ასლან აბაშიძეს არაერთხელ გამოუთქვამს პრესის მეოხებით საყვედური საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ აჭარის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების გამო. მის გამოსვლებში ოპოზიციის წინააღმდეგ ბევრი მიუღებელი აზრია გამოთქმული. მაგრამ ის, რაც აჭარის პოლიტიკურმა ლიდერმა ხსენებულ ინტერვიუში თქვა, ამ მხრივ ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ძალაუნებურად აყენებს კითხვას: მართლაცდა, რა ხდება აჭარაში?

თუკი ინტერვიუს დავუჯერებთ, ამჟამად საქართველოს „ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა როგორც ფარულად, ასევე ღიად, ავტონომიური რესპუბლიკისა და მისი ხელმძღვანელის დისკრედიტაციის მიზნით“, „გრძელდება შიდა ოპოზიციური ძალების აშკარა მხარდაჭერა“, „ტერორისტული აქტების მზადება“, „ეკონომიკური და ენერგეტიკული ბლოკადა“, თბილისიდან გაისმის „მუქარის განუწყვეტელი გუგუნი და აგრესიული მზადება ჩვენს წინააღმდეგ“ და მრავალი სხვა. როგორც ვხედავთ ინტერვიუში დახატული სურათი ფრიად მძაფრი და დრამატულია.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას ინტერვიუში მოტანილი ფაქტები. ამას, ალბათ, საგანგებო გამოძიება დასჭირდება. მაგრამ ტექსტში გვხვდება ისეთი ადგილებიც, რომლებსაც ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობა უყურადღებოდ ვერ დატოვებს და ამის გამო უშუალოდ პრესის მეოხებით უნდა ითქვას.

„ყოველივე ეს — გვიმტკიცებს ბატონი ა. აბაშიძე — მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნისაკენ — მეთოდურად მომზადდეს **საქართველოს მოსახლეობაში უარყოფითი განწყობა და შუღლი აჭარის მოსახლეობისა (ო.გ.)** და მისი ხელმძღვანელობისადმი“.

ერთი სიტყვით, ჩვენში ყოფილან ძალები, რომლებსაც მოუწადინებიათ აჭარის მოსახლეობა დაუპირისპირონ დანარჩენი საქართველოს მოსახლეობას და „შუღლი“ ჩამოაგდონ მათ შორის. საკითხავია, რატომ მაინცდამაინც აჭარის მოსახლეობა ამოიჩემეს ამ ძალებმა და არ აკეთებენ ამას, ვთქვათ, კახეთის, იმერეთის, რაჭის ან სხვა რომელიმე კუთხის მოსახლეობის მიმართ? ამ კითხვაზე ჩვენ ინტერვიუში პასუხს ვერ ვპოულობთ.

ა. აბაშიძე შემდეგ დასძენს, რომ „საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ძირითადად სტრატეგიული მიზნით განსახლებული მოსახლეობიდან აჭარაში დაბრუნდა კუთხურობის ნიშნით იქიდან ფაქტიურად გამოდევნილი რამდენიმე ათასი კაცი...“

დააკვირდით სიტყვებს — „კუთხურობის ნიშნით იქიდან ფაქტიურად გამოდევნილი“. აქაც იგივე კითხვა წამოიჭრება: რატომ მოხდა, რომ აჭარლებს დევნიან „კუთხურობის ნიშნით“ და არ დევნიან ამავე ნიშნით ვთქვათ, სვანებს, იმერლებს, რომლებიც ასევე არიან ჩასახლებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში? დავიჯეროთ, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამი სინამდვილეს შეეფერება?

ჩავყვეთ ქვემოთ. ინტერვიუში ნათქვამია: „ნებისმიერი ტრანსპორტით ბათუმში მომავალ ან კიდევ ბათუმიდან მიმავალ ასობით ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას, ავადმყოფსა და ჯანმრთელს აჭარის ადმინისტრაციული საზღვრების ახლოს კუთხურობის, საცხოვრებელი ადგილის ნიშნით არა მარტო ძარცვავენ, შეურაცხყოფენ, უცხრილავენ და ართმევენ ავტომანქანებს, ჩექმებით უმოწყალოდ სცემენ, აწამებენ, ტყვიით კოდავენ, არამედ კლავენ კიდეც...“

ხედავთ, აქაც ყოველივე ეს „კუთხურობის ნიშნით“ ხდება თურმე და თანაც აჭარის „ადმინისტრაციული საზღვრების ახლოს“.

ცოტა ქვემოთ ბატონი ა. აბაშიძე პათეტიკურად კითხულობს: „ასე მეთოდურად რატომ ვუპირისპირებთ ქართველებს ერთმანეთს კუთხურობის ან სხვა რაიმე ნიშნით“. უფრო მეტიც. აჭარის პოლიტიკური ლიდერის თქმით, „არ უნდა დაიმალოს, რომ ზოგიერთებს უკეთეს შემთხვევაში, მეორეხარისხოვან ქართველებად მივაჩნდით და მივაჩნივართ“.

ეს უკვე მეტისმეტია. ნუთუ ამ სიტყვების ავტორს კიდევ შეუძლია ვინმეს უსაყვედუროს შუღლის ჩამოგდება აჭარის მოსახლეობასა და დანარჩენ საქართველოს შორის? რა არის ეს, თუ არა შუღლის ჩამოგდება კუთხეებს შორის, დაპირისპირება ერთი კუთხის მოსახლეობისა მეორე კუთხის მოსახლეობისადმი? როცა პოლიტიკური ლიდერი ასეთ რამეს ლაპარაკობს, რა გარანტია გვაქვს, რომ ამას არ დაიჯერებს უბრალო ხალხი და წყენას არ ჩაიდებს გულში დანარჩენი საქართველოს მიმართ.

„წარმომიდგენია, — განაგრძობს მსჯელობას ა. აბაშიძე — ერთი მსგავსი ფაქტიც კი აჭარაში რომ მომხდარიყო, კუთხურობის ნიშნით ვინმე რომ განედევნათ, ეცემათ, ეწამებინათ, დაეჭრათ, მოეკლათ,რა მოხდებოდა.“

ამ სიტყვებს რომ კითხულობ, ძალაუნებურად გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს აჭარა საქართველოს სხვა კუთხეებს შორის ისეთი განცალკევებული რეგიონია, რომელსაც მთელი საქართველო დაპირისპირებია და ცდილობს მის შევიწროებას. თუმცა ამ აზრს ა. აბაშიძე ცოტა ქვემოთ პირდაპირ გამოხატავს: „რატომ ვებრძვით საქართველოს ამ უძველეს კუთხეს, სადაც დღეს პრაქტიკულად მშვიდობა სუფევს“.

ბატონ ა. აბაშიძეს ჰყავს და ამას თვითონაც აღიარებს, ძლიერი პოლიტიკური ოპოზიცია, რომლისგანაც თავის დაცვა არც ისე იოლი საქმეა. ამიტომ, როგორც

გაგრძელება მე-6 გვ.

რუსების სამშვიდობო ჯარების სარდალი და მოქალაქეთა კავშირი ანუ კიდევ ერთი ტრაგი-კომედია

საქართველოს ტელევიზიამ გააგრცელა ინფორმაცია აფხაზეთში მიმდინარე ამბების შესახებ, კერძოდ — გალის და ზუგდიდის მოქალაქეთა კავშირის რეგიონალურ ორგანიზაციებს ჩაუტარებიათ ზუგდიდში მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი და უნდობლობა გამოუცხადებიათ რუსეთის სამშვიდობო ძალების მთავარსარდალ იაკუშევისათვის.

ინფორმაციაში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანთა (რასაკვირველია, ქართველთა) ხოცვას, ქალების გაუპატიურებას, მძევლების აყვანას, მოსახლეობის ხელებზე ნომრების ამოშანთვას და ა.შ.

სხვათა შორის, „ჩვენი უფროსი ძმის“ — რუსეთის საინფორმაციო საშუალებები „რატომღაც“ გაჩუმებულები არიან სეპარატისტების არაადამიანურ მოქმედებებთან დაკავშირებით, ან თუ აშუქებენ ამ ამბებს, არასრულყოფილად და არძინბას თუ სულ არ გაამართლებენ, მისი მხრიდან კონსტრუქციულობის გამოჩენის ინიციატივას მაინც აუცილებლად აღნიშნავენ.

მაგალითად არ ამბობენ, რომ ხოცავენ ქართველებს, მხოლოდ შენიშნავენ, ვიღაც ბანდები ძარცვავენ მოსახლეობას გალის რაიონშიო. ბოლოს კი აუცილებლად დაამატებენ, არძინბამ გამოთქვა სურვილი მოაგვაროს ურთიერთობა საქართველოსთანო.

არადა როგორც ჩანს, მართლაც ძალზედ დაიძაბა სიტუაცია ზუგდიდში. რა შეიძლება ეწოდოს მოქალაქეთა კავშირის მიერ ჩატარებულ მიტინგს და მის განცხადებას?

კიდევ ერთი ტრაგი-კომედია!

დიახ, თუ მართლა ჰქონდა ადგილი მოქალაქეთა კავშირის მიერ მრავალათასიანი მიტინგის შეკრებას ზუგდიდში — ეს ტრაგი-კომედიაა! განვმარტავ

ცუდი ის კი არ არის, თუ მოქალაქეთა კავშირი ჭკუაზე მოვიდა — ტრაგი-კომედიაა, თუ დევნილი, გაწამებული, გაუბედურებული, დაობლებული, ნამუსახდილი, გაძარცვული ლტოლვილი იმ ორგანიზაციის მიტინგზე მიდის (გარკვეულ იმედსაც ამყარებს მასზე), რომლის დიდი ძალისხმევითაც და უშუალო ინიციატივითაც აღმოჩნდა ამ დღეში. იმ ორგანიზაციისა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა იდეოლოგიური გამართლება ჰქონოდა „რუსი ძმების“ ენგურის „საზღვარზე“ ჩადგომას, რომლის წევრებიც ასე აქტიურად გამოესარჩლნენ სამშვიდობო ჯარების სარდალს, გენერალ იაკუშევს და ლამის „უფასო ადვოკატებად“ დაუდგნენ მას, როდესაც გახმაურდა მისი ცნობილი ინტერვიუ გაზეთ „Правда“-ში.

მამუკა ჩხეიძე

P.S. მე მაინც მგონია რომ „ინციდენტი“ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ იაკუშევის შეცვლით თუ დამთავრდება და მოქალაქეთა კავშირი (თუ მანამდე არ დაიშალა) კვლავ აქტიურად დაუჭერს მხარს 15 მაისის შემდეგ „რუსი ძმების“ ენგურის ნაპირებზე დარჩენას.

არა გჯერათ?
„Поживем, увидим!“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეჩნეთი

სინამდვილეში რა მოხდა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში?

გვესაუბრება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ვ.ნ. ლისენკო

— თქვენ უკვე რამდენიმე წელია დაკავებული ბრძანდებით ეროვნული პოლიტიკით, მუდმივად მუშაობთ ჩრდილოეთ კავკასიაში. საიდან იღებს სათავეს ჩეჩნეთის თანამედროვე კრიზისი?

— რუსეთის იმპერია სხვადასხვაგვარად ყალიბდებოდა: ერთა და სახელმწიფოთა ერთი ნაწილი ნებაყოფლობით შედიოდნენ მის შემადგენლობაში (ოსები, ყალმუხები და სხვა), სხვებს კი რუსეთი იპყრობდა ომებით (როგორც მაგალითად: ჩეჩნები, თათრები...).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სტალინმა რეპრესიები გაატარა ჩეჩენი ერის წინააღმდეგ და მხოლოდ 50-იანი წლების მეორე ნახევარში დააბრუნეს ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში.

90-იანი წლების დასაწყისში ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე შეიმჩნევა ეროვნული თვითშეგნების ზრდა. 1991 წელს, აგვისტოს პუტჩის შემდეგ მოხდა საბჭოთა კავშირის 15 ნაწილად დაშლა. ამ დროს რიგი მოსკოველი პოლიტიკოსებისა დაკავებულ იყვნენ „რევოლუციის ექსპორტის“ მცდელობით. ამის შედეგად, მიუხედავად რიგ რესპუბლიკებში არსებული კრიტიკული სიტუაციისა, ეროვნულმა რევოლუციამ ფედერაციის მხოლოდ ერთ სუბიექტში — ჩეჩნეთში გაიმარჯვა. აქ მოსკოველი პოლიტიკოსები რ. ხასბულატოვის მეთაურობით ისე გაერთნენ ჩეჩნეთში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ გამოეპარათ ჯ. დუდაევის მეთაურობით ჩეჩენი ნაციონალისტების ხელისუფლებაში მოსვლა. როდესაც მიხვდნენ, რომ მათმა პროტეჟემ გამოაცხადა რა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა, ისინი გააბითურა — გაისმა მუქარები, განცხადებები არჩევნების არაკანონიერების შესახებ, და ბოლოს რუსეთის პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ჩეჩნეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ მყისვე გამოიწვია ჩეჩენი ერის გამთლიანება „გარეშე მტრის“ წინააღმდეგ: ოპოზიცია გაქრა. დუდაევმა განიმტკიცა თავისი მდგომარეობა.

დემოკრატიულმა ძალებმა დიდი ძალისხმევის ფასად შესძლეს დაერწმუნებინათ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭო, რათა მას უარი ეთქვა საგანგებო მდგომარეობის შემოღებაზე, რამეთუ არც სიტუაცია ჩეჩნეთში, არც რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების საბრძოლო მზადყოფნა, არც საზოგადოებრივი აზრი რუსეთში არ იძლეოდა ამ აქციის წარმატებით განხორციელების იმედს. ელცინმა უკან დაიხია, ჩეჩნეთს დაანება თავი.

დღეს ბევრი ამბობს, რომ საგანგებო მდგომარეობის არშემოღება იყო შეცდომა, რომ მაშინათვე, ჩანასახშივე საჭირო იყო მცირე სისხლის ფასად გაესრისათ „სეპარატიზმის ჰიდრა“ და დღეს მოსკოვს აღარ ექნებოდა პრობლემები.

ჩვენი პოლიტიკოსების ნაწილს „მოკლე“ მახსოვრობა აღმოაჩნდა, დაივიწყეს რა, რომ:

— 1991 წელს ნაწილებად დაყოფილი არმია დემორალიზებული იყო, ჩრდილოკავკასიური ოლქი აღარ არსებობდა;

— სამხრეთიდან ჩეჩნეთს ზურგს უმაგრებდა ზ. გამსახურდიას ანტირუსული რეჟიმი;

— ინგუშეთი შედიოდა ერთიანი ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში;

— ჩრდილო ოსეთი, სამხრეთ ოსეთის ბედით შეწუხებული, კონფლიქტში იყო პრეზიდენტთან;

— დაღესტანი და ყაბარდო-ბალყარეთი თვითონ იყვნენ ეროვნული „აფეთქების“ პირას.

ამიტომ ამ პერიოდში ძალის გამოყენებით ჩეჩნეთის კონფლიქტის გადაწყვეტა განწირული იყო წარუმატებლობისთვის.

— რა შეიცვალა 1996 წელს? არის თუ არა დღეს ძალისმიერი გზით პრობლემის გადაწყვეტის წარმატების შანსი?

— სანამ ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, მოკლედ შევჩერდები იმაზე, თუ რა ხდებოდა ჩეჩნეთში 1991-1994 წლების პერიოდში.

დუდაევის რეჟიმმა დაიწყო სეპარატისტული იდეების (და არა მარტო იდეების) „ექსპორტირება“; მოუწოდებდა ერთა კავკასიური სახლის შექმნისაკენ რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ, დახმარებოდნენ ზ. გამსახურდიას სამოქალაქო ომში, გაეგზავნათ ბოევიკები აფხაზეთის ომში მონაწილეობისათვის. რამდენჯერმე იყო მცდელობა დუდაევის რეჟიმთან მოლაპარაკების ჩატარებისა, მაგრამ წარუმატებლად, რამეთუ საკითხი ეხებოდა ჩეჩნეთის პოლიტიკურ სტატუსს: რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ან დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ პერიოდში ჩეჩნეთი დე-ფაქტოდ იყო დამოუკიდებელი, ხოლო დე-იურედ რუსეთის შემადგენლობაში. რუსეთის ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ დუდაევის რეჟიმი თვითონ ამოწურავდა საკუთარ თავს ეკონომიკურად. მაგრამ ეს არ მოხდა. წარმოების მასიურ დაცემას თან ახლდა უფრო სწრაფი უბაჟო, საბაჟოსგარეშე ვაჭრობა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან. გროზნო გადაიქცა მთელი ჩრდილო კავკასიის „ბარახოლკად“. აქ ჩამოჰქონდათ უბაჟო საქონელი, რომელიც შემდგომ მიედინებოდა მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსეთში. ჩეჩნეთი იქცა თავისებურ თავისუფალ ეკონომიკურ ზონად ძლიერი კრიმინალურ-მაფიოზური ელფერით. არ აწარმოებდა რა არაფერს, მოსახლეობის ნაწილმა უზრუნველყო თავისი შედარებით გასაძლისი არსებობა. მოსახლეობის სწორედ ეს ნაწილი წარმოადგენს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის და მისი მებაირაღის ჯ. დუდაევის მთავარ დასაყრდენს. არსებობს ვერსია, რომ გარკვეული პირები მოსკოვიდან აქ „წმენდენ“ („отмывают“- ლ.ა.) თავიანთ ფულს და აგროვებენ მსხვილ კაპიტალს, თუმცა ეს დოკუმენტურად არაა დამტკიცებული. თუმცაღა იყო ყალბი ავიზოები და სხვა. დღეს, როცა დაიწყო საბრძოლო მოქმედებები ჩეჩნეთში, „მოულოდნელად“ აღმოჩნდა, რომ ჩეჩნეთში რამდენიმე წელია მუშაობს ყალბი რუსული ფულის დამამზადებელი ფაბრიკა, რომ 50%-ზე მეტი მოსკოვური კაპიტალისა კონტროლირდება ჩეჩნების მიერ. თუმცა ჩემის აზრით ეს ალბათ უფრო „მტრის ხატის“ შესაქმნელად გამიზნული პროპაგანდაა, ვიდრე რეალობა.

წლიდან წლამდე დუდაევის რეჟიმის მხარდაჭერა ჩეჩნეთში სულ უფრო მცირდებოდა. პირველად 1994 წელს მოსკოვში გამოჩნდნენ „მეორე ტალღის“ ოპოზიციის წარმომადგენლები ყ. ავტურხანოვი, ს. ჰაჯიევი და სხვა-

გაგრძელება მე-8 გვ.

ზოგიერთი რამ პარლამენტარიზმის ისტორიიდან

პარლამენტარიზმი — სახელმწიფოებრივი მართვის მთელი სისტემაა, რომელსაც დღესდღეობით მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. მმართველობის ეს სისტემა, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, სათავეს XIII ს. ინგლისიდან იღებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში არის აზრი, რომ პარლამენტური წყობის შექმნის ცდა იყო რენესანსული ეპოქის საქართველოში.

ისევე როგორც ყველა ქვეყნის პარლამენტში, დღევანდელ ქართულ პარლამენტშიც არის საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია. ეს რასაკვირველია ასეც უნდა იყოს.

დღეს ზოგ პოლიტიკურ პარტიას თუ ცალკეულ დეპუტატს უსაყვედურებენ, რომ ისინი პარლამენტში გავიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ იმყოფებოდნენ საარჩევნო ბლოკ „მშვიდობაში“, რომლის სარეკლამო რგოლი იწყებოდა და მთავრდებოდა შევარდნაძის სურათით. მაგრამ იგივე დეპუტატები არაფერს ამბობენ იმ დეპუტატებზე, ვინც ოპოზიციიდან უმრავლესობის ბანაკში გადაინაცვლა.

სამწუხაროდ ბევრმა ქართველმა პარლამენტარმა, და, ალბათ არა მარტო პარლამენტარმა არ იცის, რომ ერთ პარტიიდან მეორე პარტიაში გადასვლა არცთუ იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს პოლიტიკურ თუ საპარლამენტო ისტორიაში. ზემოდ უკვე აღვნიშნე, რომ პარლამენტარიზმი თავის საწყისს ინგლისში იღებს. ამიტომაც მოვიყვან ორ მაგალითს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ისტორიიდან, სადაც ასახულია როდის და რატომ გამოიცვალეს პოლიტიკური პარტია ქვემოთ აღნიშნულმა პოლიტიკოსებმა.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ჯოზეფ ჩემბერლენი. ის იყო ჩემბერლენების ცნობილი დინასტიის წარმომადგენელი, დინასტიისა, რომელიც დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ავანსცენაზე იმყოფებოდა 60 წელი. 1880 წ. ჯოზეფ ჩემბერლენი გახდა მინისტრი და ამ დროიდან 1940 წლამდე, როდესაც მისი უმცროსი შვილი ნევილი იძულებული იყო გადამდგარიყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან, ჩემბერლენები მუდამ შედიოდნენ მთავრობაში ან ე.წ. „ჩრდილოვან კაბინეტში“.

ჯოზეფ ჩემბერლენის პოლიტიკური ნათლობა მოხდა 1865 წელს, როდესაც იგი შევიდა ახლადდაარსებულ ბირმინჰემის ლიბერალურ ასოციაციაში.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც თითქმის 20 წელი ჯოზეფ ჩემბერლენი მთელი ძალ-ღონით ემსახურებოდა ლიბერალურ პარტიას, მან დაიწყო გადახრა კონსერვატორებისაკენ. რა იყო ამის მიზეზი? 1886 წლის 13 მაისს ლიბერალმა პრემიერ-მინისტრმა უილიამ გლადსტონმა (სხვათაშორის იგი თავის პოლიტიკურ კარიერას კონსერვატორებში იწყებდა) წარუდგინა თავის კაბინეტს ჰომრულის გეგმა. ამ გეგმის თანახმად ირლანდიას ენიჭებოდა დომინიონის სტატუსი და იქმნებოდა ამ ქვეყნის პარლამენტი (აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ ფურცლებზე მიესალმებოდა უ. გლადსტონის ამ გეგმას). ჩემბერლენი და ტრეველიანი პროტესტის ნიშნად მზად იყვნენ დაეტოვათ კაბინეტი, მაგრამ გლადსტონმა მოითხოვა, რომ გადაედოთ თავიანთი გადაწყვეტილება, სანამ დეტალურად არ წარადგენდა ჰომრულის გეგმას. 26 მაისს კი გეგმა გამოქვეყნდა, რის შედეგად ჩემბერლენმა და ტრეველიანმა დატოვეს კაბინეტი.

მთავრობიდან გამოსვლა პრემიერ-მინისტრთან უთანხმოების გამო სრულიადაც არ ნიშნავს პარტიიდან გამოსვლას. ყოფილი მინისტრი ტოვებს „წინა სკამს“ და გადადის უკანა სკამზე. იგი თავისუფლდება ე.წ. „კაბინეტური სოლიდარობისაგან“ და შეუძლია იბრძოლოს თავის პარტიის პოლიტიკის შეცვლისთვის, დროებით შეწყვიტოს აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა, ან მხარი დაუჭიროს მთავრობას იმ საკითხებში, რომელსაც იგი ეთანხმება, მაგრამ სრულიად არაა აუცილებელი სხვა პარტიაში გადასვლა. ზოგი ბიოგრაფის აზრით, ამ მხრივ ჩემბერლენს არ ჰქონდა მიღებული არავითარი კონკრეტული გადაწყვეტილება იმ დროს, როდესაც მან დატოვა კაბინეტი.

აი რას წერს თვით ჩემბერლენი ექვსი წლის შემდეგ: „ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც რადიკალისა, რთული იქნებოდა დამემყარებინა სრული კავშირი კონსერვატორებთან. საეჭვო იყო, რომ რეფორმები, რომლის წარდგენამე მსურდა, მათთვის მისაღები აღმოჩნდებოდა და მე დავუკავშირდებოდი იმ პარტიას, რომლისგანაც არ შეიძლებოდა თანაგრძნობა მიმეღო იმისადმი, რაც აქამდე წარმოადგენდა ჩემს მთავარ პოლიტიკურ მიზანს. რასაკვირველია, მე გადავწყვიტე ყველა იმედი იმისა, რომ როდესღაც შევიდოდი მთავრობაში, მაშინ, როცა როგორც გლადსტონის კოლეგას, მქონდა საუკეთესო შანსები რათა გავმხდარიყავი მისი შემცვლელი პარტიისი ლიდერის პოსტზე.“ (და აქედან გამომდინარე პრემიერ-მინისტრი. გ.კ.).

ბირმინჰემში ჩემბერლენმა მიიღო ნდობა ადგილობრივი ლიბერალური ასოციაციისაგან, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ლიბერალური ფედერაციის კონფერენციამ მხარი დაუჭირა გლადსტონს და მის კანონპროექტს ჰომრულის შესახებ. ამას მოჰყვა ფედერაციის კომიტეტის ექვსი წევრის გადადგომა და მათ შორის იყო მისი სულისჩამდგმელი — ჯოზეფ ჩემბერლენი.

ჯოზეფ ჩემბერლენის პიროვნების ევოლუციას კარგად აჩვენებს მისი საქციელი 1888 წ. გაზაფხულზე, როდესაც მთავრობამ შესთავაზა დაეჯილდოებინა „დიდი ჯო“ ბრიტანეთის ერთ-ერთი მაღალი ჯილდოთი. ჩემბერლენმა უარი განაცხადა, და მის ნაცვლად მოითხოვა დედოფალ ვიქტორიას ფოტოსურათი ავტოგრაფით. ეს საქციელი ჩაიდინა პიროვნებამ, რომელმაც თავის პოლიტიკური კარიერის დასაწყისში განაცხადა: „მე არ ვგრძნობ შეშფოთებას იმ აზრისაგან, რომ ოდესღაც ჩვენს ქვეყანაში დამყარდება რესპუბლიკა... ადრე თუ გვიან ეს მოხდება“.

თავისი პოლიტიკური აზროვნებით ჯოზეფ ჩემბერლენი სულ უფრო უახლოვდებოდა კონსე-

გაგრძელება მე-7 გვ.

როცა საკამის შესანარჩუნებლად ყველაფერს კადრულობენ ანუ აჭარა ასლან აბაშიძე არ არის...

ეტყობა, იგი ცდილობს ჩაითრიოს ამ ბრძოლაში მთელი აჭარის მოსახლეობა, უფრო მეტიც, ის ინტერვიუს დასასრულს აცხადებს: „ჩემი მტრები... უპირველესად საქართველოს მტრებია!“ ეს ხერხი პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნებისა ახალი როდია. ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს სტალინის, ლენინის თუ სხვა პოლიტიკური ლიდერის პიროვნება სამშობლოს, ქვეყნის ბედთან იყო გაიგივებული. საკმარისი იყო იმ რეჟიმის დროს რაიმე წამოგცდენოდა ლენინის ან სტალინის მისამართით იდეოლოგიურად შეუფერებელი, რომ მაშინვე ქვეყნის მტრად გამოგაცხადებდნენ. მას შემდეგ ეს ხერხი არაერთხელ გამოუყენებიათ სხვადასხვა ჯურის პოლიტიკანებს, ამ ფაქტთან დაკავშირებით მაგონდება ახლო წარსულის ერთი ფრიად საგულისხმო მოვლენა, როცა ერთ პოლიტიკურ ლიდერს ძლიერ გაუჭირდა, მაშინვე საჯაროდ ისროლა ფრაზა: თუკი თქვენ ძლიერ შემავიწროვებთ, მე ესა და ეს კუთხე დამიცავსო. ამ კუთხურობამ მერე ჩვენში როგორი სისხლის ღვრაც გამოიწვია, ეს დღეს ყველასათვის ნათელია. განა ამასვე არ უნდა ნიშნავდეს ინტერვიუს შემდეგი სიტყვები: „არის აფხაზეთი, არის სამაჩაბლო და რამდენიმე წელია ხელოვნურად ცდილობენ ააგორონ დაძაბულობის ახალი კერა, ამ ქაოსში ჩაითრიონ აჭარის რეგიონი...“ ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რას ნიშნავს „დაძაბულობის ახალი კერის შექმნა“. ვიცით, ვინ დგას დაძაბულობის ამ ახალი კერის უკან და ვინ

რჩება გამარჯვებული ამის შედეგად.

საკითხავია, რატომ არ აგორებენ ან ვერ ახერხებენ ააგორონ ეს ტალღა დაძაბულობისა, ვთქვათ, კახეთის, იმერეთის ან საქართველოს ზოგიერთ სხვა რეგიონში? თუკი თბილისში არიან ბანდიტური დაჯგუფებები, რომლებიც ცდილობენ აჭარაში შეღწევას, რომელთაგან თავს იცავს აჭარის ხელისუფლება, განა ეს დაჯგუფებები არ მოქმედებენ კახეთში ან საქართველოს სხვა კუთხეში? რატომ არ ქმნის ეს ფაქტი იქ დაძაბულობის ახალ კერას, რატომ არ იყენებენ ამას საქართველოს მტრები იქ პოლიტიკური დაძაბულობის შესაქმნელად? ამის ახსნა ძნელი როდია. არცერთი დაძაბულობის კერა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად, აფხაზეთში, ცხინვალში, თუნდაც სამეგრელოში არ შექმნილა გარეშე ძალის დაუხმარებლად, მაგრამ ვერავითარი გარეშე ძალა საქართველოს რომელმე კუთხეში ვერ შეძლებდა და მომავალშიც ვერ შეძლებს დაძაბულობის შექმნას, თუკი გარედან გადმოსროლილ თესლს შიგნით არ დახვდება ნოყიერი ნიადაგი. ასე რომ, ვერც აჭარაში ვერ მოხდება დაძაბულობა, თუკი მას აჭარის ხელისუფლება არ დაუჭერს მხარს. აჭარის მოსახლეობის ეროვნული შეგნება ძლიერ მაღალია და ის არასოდეს არ დაუპირისპირდება დანარჩენ საქართველოს.

მაგონდება ერთი ასეთი ფაქტი. ამ თხუთმეტი წლის წინ მთელი ოჯახით აჭარაში, აჭყისთავში მოვხვდი. შესანიშნავი საახალწლო სუფრა გაგვიშალეს. მოულოდნელად ერთი თანამესუფრე შემეკითხა: როგორც თბილისელი კაცი,რას ფიქრობთ, როგორია თქვენი აზრი აჭარის ავტონომიაზეო. მე გადავწყვიტე არ მეწყენინებინა მასპინძლისათვის და მივუგე: ჯერ-ჯერობით აჭარის ავტონომია არაფერს აშავებს — მეთქი. როგორი განცვიფრებული დავრჩი, როცა ჩემმა მოსაუბრემ მოულოდნელად მიპასუხა: არ გეთანხმებით, მე რატომ უნდა განვსხვავდებოდე დანარჩენი, ესე იგი აჭარის გარეთ მცხოვრები ქართველებისგანო.

წარმოიდგინეთ ამ კაცის სულიერი მდგომარეობა,როცა იგი მოისმენს აჭარის დღევანდელი ლიდერის სიტყვებს, თითქოს აჭარლებს მეორეხარისხოვან ქართველებად მიიჩნევენ, თითქოს აჭარლებს კუთხურობის ნიშნით დევნიან, თითქოს აჭარას მთელი საქართველო ებრძვის... ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ასე არ არის, რომ ეს მტკნარი სიცრუეა, მაშინ რატომ არ ჩამოჰკრავენ განგაშის ზარებს (ასლან აბაშიძის სიტყვებია) იგივე იური ბიბილეიშვილი, გურამ შარაძე და სხვები და რატომ არ განაცხადებენ, რომ მართლაც ნუ ვქმნით დაძაბულობის ახალ კერას აჭარაში.

„დღევანდელი აჭარა — ამბობს ი. ბიბილეიშვილი — ტრადიციულად მტკიცედ დგას ეროვნული ერთიანობის-პოზიციაზე“. გეთანხმებით ბატონო იური და სავსებით გვჯერა, რომ ეს მართლაც ასეა. მაგრამ ისევე თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხალხის ცნობიერებაში ეჭვის ჩაწვეთება ადვილია. ძნელია ეჭვებისა და ცრურწმენების ამოძირკვა. ამიტომ არ შეიძლება ხალხთან თამაში ნორმალურ ქვეყანაში...“

ოთარ ბამყრელიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

მეხუთე გვერდიდან

ნი, რომელთაც დაიწყეს რუსეთის ხელმძღვანელების დარწმუნება, რომ არჩევანი მათზე შეეჩერებინათ. მოსკოვი მერყეობდა და ელოდა, სანამ დუმაში არ გამოსცეს ამნისტია და ლეფერტოვოს ციხიდან ჩეჩნეთში ეროვნულ გმირად არ დაბრუნდა რ. ხაზბულატოვი. აქ კი კრემლში შეშფოთდნენ და დაიწყო თავიდან ფინანსური და ეკონომიური, შემდეგ კი — საომარი დახმარება ჩეჩნეთის ოპოზიციისა. თავიდან საქმეები ცუდად არ მიდიოდა: დაიწყო პენსიების გადახდა, სკოლების აღდგენა, ოპ[illegible]ციის კონტროლირებად [illegible]ტორიებზე მიწების მოხვნა. მეზობელ, დუდაევის რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ დაიწყო ფიქრი რუსეთში „დაბრუნებაზე“. მაგრამ აქ მოსკოველ პოლიტიკოსებსა და ჩეჩენ ოპოზიციონერებს ნერვებმა უმტყუნა, არ ეყოთ მოთმინება: მსვლელობა მიეცა იარაღს. ოპოზიციის ძალისხმევას მარტოს დაემარცხებინა დუდაევის გვარდია წარმატება არ მოჰყვა, ისინი უკან იხევდნენ. ამ დროს დაიბადა საბედისწერო იდეა, რომ გადაელახათ „აკრძალული ზონა“ და გროზნოს შტურმში ჩაერთოთ არა მხოლოდ რუსული ტექნიკა, არამედ ტანკისტებიც: 26 ნოემბერი იქცა საბედისწერო დღედ ოპოზიციისათვის — მათი სრული დამარცხება გროზნოში, პლუს ის, რომ ჩეჩენმა ხალხმა გაიგო, რომ საბრძოლო

ჩეჩნეთი

სინამდვილეში რა მოხდა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში?

ოპერაციაში აწილეობდნენ რუსი [illegible]ები. მოხდა იგივე რეაქ[illegible], რაც 1991 წლის ოქტომბერში ელცინის განკარგულების შემდეგ: ნეიტრალურად განწყობილი ხალხი გადავიდა დუდაევის მხარეს; „საგარეო საშიშროების“ წინაშე მომენტალურად მოხდა ერის კონსოლიდაცია. აქ რუსეთი უნდა შეჩერებულიყო; ელცინს „ტყვედ ჩაებარებინა“ რამდენიმე სახმედრო-განაცხადებდა რა, რომ მათ დაარღვიეს პრეზიდენტის ბრძანება რუსი სამხედროების ჩეჩნეთის კონფლიქტში „ჩაურევლობის“ შესახებ. და გადაადგილებდა რა ძალებს, მომზადებულიყო ახალი უფრო მოქნილი ნაბიჯებისათვის.

მაგრამ ამის ნაცვლად ამოქმედდა კონფლიქტის გადაწყვეტის ძალოვანი ვარიანტი — ულტიმატუმები, ჯარების შეყვანა, საბრძოლო მოქმედებების დაწყება.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ძალის გამოყენებით კონფლიქტს ვერ გადავწყვეტთ?

— მე მიმაჩნია, რომ ასეთი სახის კონფლიქტები ვერ გადაწყდება ძალოვანი მეთოდებით. გროზნოს აღების შემთხვევაშიც კი ჩვენ გარანტირებული გვაქვს მრავალწლიანი პარტიზანული ომი და არის საშიშროება, რომ კონფლიქტი პოლიტიკურიდან გადაიზარდოს ეროვნულში. ეს იქნება მეორე ავღანეთი.

— მაშინ მოგვიწევს ჩეჩნეთიდან ჯარების გამოყვანა?

— არ მგონია, დღეს ახლა ნაკლებად მოსალონელია, რამეთუ ჯარების გამოყვანა რუსეთის პრეზიდენტის ავტორიტეტს საბოლოოდ შელახვას უქადის.

— მაშ სადაა გამოსავალი?

— კარგი გამოსავალი არ არის. ჩეჩნეთის „გაშვება“ სხვა მოსაზრებების გარდა გეოპოლიტიკური მოსაზრებებით არ შეიძლება. 1991 წელს საბჭოთა კავშირი 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა (შედარებით მშვიდობიანად). ახლა კი ჩეჩნეთის „გაშვება“ ნიშნავს შეიქმნას საშიში პრეცედენტი, რომელიც სათავეს დაუდებს პოსტსაბჭოური სივრცის მეორე გადანაწილებას, აშკარაა არამშვიდობიანს, რამეთუ ყოფილ სსრკ-ს უმეტეს რესპუბლიკებში არსებობს კონფლიქტის საკუთარი რეგიონები.

ცუდი ვარიანტებიდან უნდა ავირჩიოთ ნაკლებად ცუდი. პარტიზანული ომი და არის საშიშროება, რომ კონფლიქტი პოლიტიკურიდან გადაიზარდოს ეროვნულში. ეს იქნება მეორე ავღანეთი.

— მაშინ მოგვიწევს ჩეჩნეთიდან ჯარების გამოყვანა?

— არ მგონია, დღეს ახლა ნაკლებად მოსალონელია, რამეთუ ჯარების გამოყვანა რუსეთის პრეზიდენტის ავტორიტეტს საბოლოოდ შელახვას უქადის.

— მაშ სადაა გამოსავალი?

— კარგი გამოსავალი არ არის. ჩეჩნეთის „გაშვება“ სხვა მოსაზრებების გარდა გეოპოლიტიკური მოსაზრებებით არ შეიძლება. 1991 წელს საბჭოთა კავშირი 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა (შედარებით მშვიდობიანად). ახლა კი ჩეჩნეთის „გაშვება“ ნიშნავს შეიქმნას საშიში პრეცედენტი, რომელიც სათავეს დაუდებს პოსტსაბჭოური სივრცის მეორე გადანაწილებას, აშკარაა არამშვიდობიანს, რამეთუ ყოფილ სსრკ-ს უმეტეს რესპუბლიკებში არსებობს კონფლიქტის საკუთარი რეგიონები.

ცუდი ვარიანტებიდან უნდა ავირჩიოთ ნაკლებად ცუდი. ძალისმიერი ვარიანტი, პატარა ომისა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, არ გაამართლებს. ჩეჩნეთი ეს არ არის — ჰაიტი. თუნდაც შტურმით (უდიდესი მსხვერპლითა და ნგრევით) გროზნოს აღების შემთხვევაში პარტიზანულ ომს, ავღანეთის და ტაჯიკეთის მსგავსს ვერ ავიცილებთ.

პოლიტიკური მოწესრიგება— ეს საუკეთესო ვარიანტია, მაგრამ ნაკლებად აშკარა. რეალიზმიდან გამომდინარე, 3 წლიანი ურთიერთდაპირისპირებისა და ამჟამად მიმდინარე სამხედრო მოქმედებათა შემდეგ — არც უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ ფედერალურ ორგანოებსა და ჩეჩნეთს შორის ხელშეკრულების იდეა, არც ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის იდეა არ შეიძლება გახდეს მოლაპარაკებებისა და კომპრომისების საგანი რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის. ამ პირობებში შესაძლო კომპრომისის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება ყოფილიყო კონფედერაციული კავშირის იდეა. ფაქტიურად დღეს ხელშეკრულებით ასეთივე მდგომარეობაშია რუსეთი თათრეთთან. ასეთივე არასტანდარტული მიდგომა შეგვეძლო გამოგვიყენებინა ჩეჩნეთში. მინდა შეგახსენოთ, რომ რუსეთის იმპერიაშიც კი მისი სხვადასხვა ნაწილები ფლობდნენ სხვადასხვა სტატუსს: გუბერნიიდან სამეფომდე და ემირატებამდე. ამიტომ ახლა საჭირთა დროის მოგება, ჩეჩნეთში მდგომარეობის სტაბილიზაცია, თავისუფალი არჩევნების მოშზადება, ხოლო შემდგომ ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალების მოსვლის შემდეგ უნდა დავუბრუნდეთ ფედერაციის საკითხს.

— რატომ თვლით ამ უკანასკნელ ვარიანტს ნაკლებად განხორციელებადს?

— იმიტომ, რომ ვიდრე ელცინი და დუდაევი იმყოფებიან ხელისუფლებაში, არ მჯერა, რომ ისინი შეძლებენ შეთანხმებას, ძალიან ბევრი იყო ნათქვამი ერთმანეთის მისამართით. ამიტომ რუსეთის რესპუბლიკურმა პარტიამ შესთავაზა სახელმწიფო დუმას, რომ ინიციატივა აიღოთ საკუთარ თავზე და ჩამოეყალიბებინათ ავტორიტეტული პოლიტიკოსებისაგან დელეგაცია, რომელთაც ენდომებათ და შეეძლებათ კიდეც შეთანხმება.

ვალერია გულიმოვა
პუბლიკაცია მოამზადა
ლევან ალაფიშვილმა

P.S. აღნიშნული ინტერვიუ ჩანერილია 1994 წლის 21 დეკემბერს, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო ვერ დაიბეჭდა, თუმცა ვფიქრობთ მას აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სურეთ ჰუსეინოვი:

„აზერბაიჯანში აფეთქება იგრიალებს“

მეორე გვერდიდან

თავის თავს ხალხის თვალში.

— როგორ იქცეოდა ალიევი რუსეთთან ურთიერთობაში ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?

ჯერ კიდევ ნახჩევანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობისა და აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის დროს მან წინააღმდეგ მისცა ხმა რესპუბლიკის ესენგე-ში შესვლისა და ალმა-ათის ხელშეკრულებას. ხოლო მათი რატიფიკაცია მოხდა მაშინ, როცა ის გახდა აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. მე მომიხდა დეპუტატების დიდხანს დარწმუნება სნგ-ს საშუალებით რუსეთთან კავშირის აუცილებლობაში. ალიევი დუმდა, მან დიდი ხნის წინ გადაწყვიტა თურქეთზე და დასავლეთზე ორიენტაცია, თუმცა ღიად რუსეთთან კავშირის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავდა, კერძო საუბრებში კი, არ ფარავდა თავის ანტირუსულ შეხედულებებს.

— თქვენ შორის განხეთქილების სხვა მიზეზები თუ იყო?

დიახ, ეს არის საკითხი ნავთობის კონტრაქტზე. ის მზადდებოდა ჯერ კიდევ პრეზიდენტ მუთალიბოვის დროს. პოლიტიკური ელფერი მას შესძინა პრეზიდენტმა ელჩიბეიმ. ის თავიდანვე იზიარებდა იდეას, რომ ნავთობის მაგისტრალებს უნდა გაევლო თურქეთზე. ხოლო ნავთი უნდა მოეპოვებინათ დასავლეთის მონოპოლიებს. მცირეოდენი დეტალების გამოკლებით ეს კონტრაქტი ხელმოწერილი იქნა ალიევის მიერ გასული წლის სექტემბერში.

— რა არის თქვენი აზრით მისი ნაკლი?

ის, რომ მასში რუსეთის როლი იგნორირებულია. დაე უვიცები ბაქოს მაღალი კაბინეტებიდან ბრალდებას მიყენებდნენ პრორუსულ განწყობილებებში, მხოლოდ ძალიან ახლომხედველ ან დასავლეთის და თურქეთის მიერ მოსყიდულ ადამიანს შეეძლო ხელი მოეწერა ასეთ კონტრაქტზე. დიახ ამჟამად რუსეთი სუსტია. მას არ შეუძლია ადეკვატური რეაგირება გააკეთოს მისი ინტერესების ამგვარად უპირდონო შელახვის ფაქტზე, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. „საუკუნის კონტრაქტის“ ხელმოწერით ჰეიდარ ალიევმა გაართულა ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან მრავალი წლით.

— დაინტერესებული იყო თუ არა ალიევი ამ ხელმოწერით?

აქამდე კონტრაქტის ტექსტი არ გამოქვეყნებულა. ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული ფირმების ქვეშ მასში შედიან ზოგიერთი ფიზიკური პირები აზერბაიჯანის ხელმძღვანელობიდან და მათი ნათესავები. რესპუბლიკას კონტრაქტის ანგარიშით გადაეცა 300 მილიონი დოლარი,რომლის ბედიც უცნობია.

— საუკუნის კონტრაქტის ხელმოწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ როგორც ამტკიცებდა აზერბაიჯანის პრესა, მოახდინეთ სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა.

იმის შესახებ,რომ მე თითქოს ვახდენ გადატრიალებას, გავიგე 1994 წლის 4 ოქტომბერს, ბაქოში, ჩემს სამუშაო კაბინეტში ყოფნისას ტელევიზიით, სადაც აჩვენებდნენ მიტინგს, რომელზეც ალიევმა დამადანაშაულა მე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რუშან ჯალადოვსა და პროკურორ ნახირა ჯალადოვასთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, როცა დამთავრდა მიტინგი, დავურეკე ალიევს და შევეკითხე, ხომ არ გაგიჟდი-თქო, მან მიპასუხა: ორჯერ დავრეკე შენთან, მაგრამ ვერ გიპოვეო.

— და მაშინ მან გადაწყვიტა,რომ თითქოს თქვენ იმიტომ არ ჩანდით, რათა მოგეხდინათ გადატრიალება?

ალბათ ასეა, გადატრიალება მართლაც წარმატებით ჩატარდა,მაგრამ არა ჩემს მიერ, არამედ თვით ალიევის მხრიდან, როცა გადამაყენა პრემიერის პოსტიდან. ჩემთვის დაწვრილებით არის ცნობილი,რომ ალიევის გადატრიალების გეგმა მომზადებული იყო თურქეთის სპეც-სამსახურების მიერ, სადაც ერთი კვირით ადრე მისი უშუალო ორგანიზატორი რუშან ჯალადოვი იმყოფებოდა. განჯაში 3 და 4 ოქტომბრის ღამეს პროვოცირებული იყო სამთავრობო ჯარების ორი ნაწილის შეტაკება, რომელთა მეთაურებს უთხრეს, რომ ისინი იბრძვიან ამბოხებულთა წინააღმდეგ. ამ შეტაკების შედეგად 3 მოკლული იქნა, ხოლო 7 დაჭრილი. დახოცილებს ალიევმა მიანიჭა ეროვნული გმირების წოდება.

ამის შემდეგ გაძარცვეს და მთლიანად დაანგრიეს ჩემი სახლი განჯაში და ჩემი ნათესავების და მეგობრების 200 სახლი. მათ კი ხალხის მტრები უწოდეს და ციხეებში ჩაყარეს. ალიევმა შემდგომ შემომთავაზა გადადგომა და პაკისტანში ელჩად წასვლა. მაგრამ მე უარი ვუთხარი. განვუცხადე,რომ ნებით არ გადავდგები. 23 ოქტომბრამდე ვიჯექი სახლში და ვუყურებდი ტელევიზორს რა ბრალს გვდებდნენ ყველა ცოდვაში. მაგრამ მერე გავიგე, რომ ბედს ვერ გავექცევი. გასაქცევი არც არსად მქონდა, გარდა მოსკოვისა. რუშან და მახინ ჯალადოვები კი როგორც ისხდნენ, ისე სხედან თავიანთ თანამდებობებზე.

— თქვენი აზრით როგორია მორალურ ეთიკური კლიმატი აზერბაიჯანში?

ისტორიულად ჰეიდარ ალიევი ჩვენ ხალხს მრავალი ათეულით უკან სწევს. მან ჩამოაყალიბა კორუფციის სისტემა ჯერ კიდევ 60—80-იან წლებში. როცა ის იყო დასაწყისში კგბ-ს თავ-რე და შემდეგ კომპარტიის ცკ-ს I მდივანი. ახლა ხელისუფლებაში მეორედ მისვლის შემდეგ კორუფციამ აზერბაიჯანში მიიღო ფანტასტიური გაქანება. ნებისმიერი თანამდებობა ღიად იყიდება. მთელი ბაქო გადაქცეულია უდიდეს საროსკიპო სახლად, სადაც ჩვენი გოგონები ატკბობენ უამრავ თურქ ბიზნესმენს. მე ვიცი, რომ ჰეიდარ ალიევი შურს იძიებს აზერბაიჯანელ ხალხზე, თუ რისთვის ამას ვიტყვი თავის დროზე და წარმოვადგენ დოკუმენტებსაც.

— თუ თქვენ ალიევი მიგაჩნიათ ცუდ პრეზიდენტად, რა სახით ფიქრობთ მის ჩამოგდებას?

მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით. აიაზ მუტალიბოვთან ერთად ჩვენ შევქმენით საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „მოქალაქეთა ერთობა“. მისი წევრების რაოდენობა 1,7 მილიონი ადამიანია. მრავალმა პარტიამ, რომლებიც ეწევიან რესპუბლიკაში ლეგალურ პოლიტიკურ მოღვაწეობას განაცხადეს, რომ მხარს გვიჭერენ. ხალხი საშინლად არის გაღატაკებული. 1 მარტს ბაქოს ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე მოხდა მთავრობის მიერ მოტყუებული „ვახიდბანკის“ მეანაბრეების გამოსვლა, რომელიც ომონმა ჩააწყნარა, მაგრამ ხალხს არ ეშინია ხელისუფლების.

რაც არ უნდა იყოს, რუსეთი ხომ ცნობს პრეზიდენტ ალიევის მთავრობას? საერთაშორისო სამართლის მიხედვით თქვენი მოღვაწეობა უკანონოა. რა ურთიერთობა აქვს თქვენთან რუსეთის მთავრობას!

ნება მომეცით დაგისვათ საპასუხო კითხვა. კანონიერია აზერბაიჯანის მთავრობის მოღვაწეობა? რომელიც ამარაგებს დუდაევის ბოევიკებს იარაღით და ნებას რთავს ავღანეთის და სხვა მოჯახედებს შეაღწიონ რუსეთში აზერბაიჯანის ტერიტორიიდან.

მე არ ვფიქრობ, რომ მოსკოვი ჩვენთან ცუდ დამოკიდებულებაში იყოს. ჩვენ ხომ რუსეთის მტრებს არ წარმოვადგენთ. მაგრამ რუსეთისაგან დახმარებასაც არ ველოდებით და საკუთარი ძალების იმედი გვაქვს. ჩვენს რესპუბლიკაში მდგომარეობა ისეთია, რომ აფეთქება ყოველდღე არის მოსალოდნელი. დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვში დიდხანს არ მოგვიწევს ჯდომა.

ბაზ. „არგუმენტი და ფაქტი“

ზოგიერთი რამ პარლამენტარიზმის ისტორიიდან

მეხუთე გვერდიდან

რვატორებს. და აი 1891 წლის ბოლოს ბირმინჰემში ჩემბერლენმა განაცხადა პრემიერ-მინისტრი სოლსბერის საპატივცემულოდ გამართულ საუზმეზე, რომ მას არ სურს დაბრუნება ლიბერალებში.

მეორე მაგალითი — უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი. მისი ოჯახის წევრები ტრადიციულად ითვლებოდნენ კონსერვატიული პარტიის წევრებად. უინსტონის მამა — რანდოლფ ჩერჩილი თავის დროზე იყო კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. მისი პოლიტიკური კარიერის მწვერვალი იყო ფინანსთა მინისტრის პოსტი (დიდ ბრიტანეთში ფინანსთა მინისტრი ითვლება მეორე პირად კაბინეტში პრემიერის მერე).

უინსტონმაც, ისევე როგორც მრავალმა სხვამ, თავისი პოლიტიკური კარიერა კონსერვატორებში დაიწყო თავისი პარტიის ხელმძღვანელობის სისტემატური კრიტიკით. ამ მეთოდს დღესაც ხშირად იყენებენ იგივე კონსერვატორები, ლიბერალები თუ ლეიბორისტები. ასეთ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ან პარტიის ლიდერი (რასაკვირველია თუ მას საქმე აქვს მართლაც მსხვილ პოლიტიკურ ფიგურასთან, რომელსაც შეუძლია ზიანი მოუტანოს მთავრობას ან პარტიას თავისი გამოსვლებით) „აწყნარებს მეამბოხეს“ იმით, რომ შეჰყავთ იგი მთავრობაში ან ე.წ. „ჩრდილოვან კაბინეტში“. ამ დროს მთავრობის მოწინააღმდეგე, როგორც წესი მისი მოკავშირე ხდება, რათა შეინარჩუნოს ადგილი კაბინეტში.

როდესაც 1903 წელს არტურ ბალფურმა დაიწყო თავისი კაბინეტის ჩამოყალიბება, მან გვერდი აუარა ჩერჩილს და ადგილი მთავრობაში მისცა ბონარ ლოუს — ჩერჩილის თანატოლს, მაგრამ ნაკლებად გამოჩენილ კონსერვატიულ პოლიტიკოსს. ამის შემდეგ უინტსონმა მიიღო გადაწყვეტილება გადასულიყო ლიბერალურ პარტიაში.

ჯოზეფ ჩემბერლენი სთვლიდა, რომ ბალფურს შეეძლო დაეწყნარებინა ჩერჩილი ტრადიციული მეთოდით. „უინსტონი — უკკვიანესი ახალგაზრდაა თაობაში — ამბობდა იგი, — არტურმა დაუშვა შეცდომა, რომ გაუშვა იგი“.

ჩერჩილის წასვლას კონსერვატორებიდან ჰქონდა რამდენიმე ეტაპი. 1903 წლის დეკემბერში მან კონსერვატიული მთავრობის მორიგი კრიტიკის შემდეგ ასეთი ფრაზით დაამთავრა სიტყვა: „მადლობა ღმერთს, ჩვენ გვყავს ლიბერალური პარტია“. 1904 წლის მარტიდან იგი თავს უწოდებს „დამოუკიდებელ კონსერვატორს“. ხოლო 1904 წლის აპრილიდან ჩერჩილმა ოფიციალურად გაწყვიტა კავშირი კონსერვატიულ პარტიასთან.

ერთხელ სერ ჩარლზ დილკს (იგი იყო საკაბინეტო რანგის მინისტრი კემპბელ ბანერმანის მთავრობაში) ჩერჩილმა უთხრა, რომ იგი არ ეთანხმება ლიბერალური პარტიის პოლიტიკის გარკვეულ ასპექტებს. იმის გათვალისწინებით, რომ ეს უინსტონმა თქვა მას შემდეგ, როდესაც მოხდა მის გადასვლა ლიბერალურ პარტიაში, დილკმა მიუგო ჩერჩილს: „შენ უინსტონ, უფრო ყურადღებით უნდა უყურო შენს თავს. ვირთხას შეუძლია დასტოვოს ჩაძირული გემი ერთხელ. მაგრამ თუ შეეცდები იგივე ოპერაცია მეორედ გაიმეორო, უკვე საბოლოოდ აღმოჩნდები ფსკერზე“. მაგრამ დილკი შეცდა. ზუსტად 20 წლის შემდეგ ჩერჩილმა შეუძლებელი შეძლო. მან დატოვა განადგურებული ლიბერალური პარტია და საკმაოდ წარმატებით ამოყო თავი კონსერვატორებში.

როდესაც 1924 წლის თებერვალში პარლამენტში განთავისუფლდა ერთი ადგილი, ზოგიერთი კონსერვატორი ლიდერი შეეცადა დახმარებოდა ჩერჩილს მიეღო იგი. ჩერჩილის კონსერვატორმა მეგობრებმა — ლორდ ბირკენჰედმა, ოსტინ ჩემბერლენმა და ლორდმა ბალფურმა თხოვნით მიმართეს ადგილობრივ კონსერვატიულ ასოციაციას, რათა მიეღოთ ჩერჩილი თავის კანდიდატად. მაგრამ ვესტმინისტერის ადგილობრივმა კონსერვატიულმა ასოციაციამ ვინმე ნიკოლსონი წარადგინა.

1924 წლის ოქტომბერში ლეიბორისტების მთავრობა გადადგა. ახალი არჩევნები დაინიშნა იმავე წლის 29 ოქტომბერს.

ამჯერად ტორებმა ჩერჩილი წარადგინეს თავის ოფიციალურ კანდიდატად. არჩევნების შემდეგ სტენლი ბოლდუინმა 1924 წლის 7 ნოემბერს ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა, რომელშიც ჩერჩილს ფინანსთა მინისტრის პორტფელი ერგო.

როგორც ამ არც თუ ისე დიდ წერილიდან ჩანს, ტრაგედიად არავის უქცევია ზემოხსენებული პოლიტიკოსების მიერ პარტიის გამოცვლა.

არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტშიც მოხდა ძალთა გადანაწილება. პარლამენტარიზმის ისტორიაში და მით უფრო პოლიტიკური პარტიების ისტორიაში ყოველთვის იყო და ალბათ არ შემეშინდება ამის თქმა, რომ მომავალშიც ექნება ადგილი ცალკეული პიროვნებების თუ გარკვეული ჯგუფის წევრების მიერ ერთ პარტიიდან მეორე პარტიაში გადასვლას, რადგან ეს ბუნებრივი პროცესია.

გიორგი კუჭავა

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მიმართვა

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, პარლამენტის ფრაქციებს, საკონსტიტუციო პროცესსა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით

1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტის მომზადება სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო ძალიან გაჭიანურდა. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია შეხედულებათა მკვეთრი განსხვავება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებათა შორის უფლებამოსილებათა დანაწილების საკითხებში.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია, რისი დასტურიცაა ჩვენი აქტიური მონაწილეობა მისი მომზადების პროცესში, იძულებულნი ვართ განვაცხადოთ, რომ საქართველოს პარლამენტის მომავალ არჩევნებამდე დარჩენილ ექვსთვეში (არჩევნების გადადება კი კანონის თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია და პოლიტიკურად — სრულიად გაუმართლებელი) წარმოუდგენელია კონსტიტუციის პროექტის არსებითი და საფუძვლიანი განხილვა პარლამენტისა და მით უმეტეს, მთელი ჩვენი საზოგადოების მიერ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღემდე გადაუჭრელია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემები. ამ ტერიტორიაზე ვერ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და მეტად საეჭვოა, რომ ზემოთადნიშნულ ვადაში იქ შესაძლებელი გახდეს რეფერენდუმის ჩატარება. ამათ გარეშე კი კონსტიტუცია ვერ შეასრულებს თავის უმთავრეს მიზანს — ვერ იქცევა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ერის გამთლიანებისა და ერთიანი, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის საფუძვლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ერთადერთ პოლიტიკურად გამართლებულ და კანონიერ გზად მიგვაჩნია გზა ე.წ. მცირე კონსტიტუციის მიღებისა, რაც ითვალისწინებს კონსტიტუციური ძალის მქონე რამდენიმე კანონის მიღებას, კერძოდ, კანონებისა:

1) ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ;

2) საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ;

3) საერო სასამართლოების შესახებ;

4) ადგილობრივი თვითმართველობისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოთა არჩევნების შესახებ;

5) სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ;

6) პარლამენტის არჩევნების შესახებ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია იწყებს კონსულტაციებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე და მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებსა და პარლამენტის ფრაქციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათში, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ კიდევ ერთი და, შესაძლოა, მეტად მძიმე პოლიტიკური კრიზისი.

ბ.რ.პ.
პოლიტიკური საბჭო
ქ. თბილისი,
13.03.1995 წ.

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 2. ლიბერალების მიერ გაზების შთანთქმა. 5. ხილი, ბაღჩეული კულტურა. 7. ყაფაზა. 10. მიმზიდველობა, პიკანტურობა. 11. ნასესხები. 13. კამფეტის ნაირსახეობა. 14. აღმ. და ცენტრ. ევროპაში მცხოვრებ ებრაელთა ენა. 16. უდანაშაულობის დასაბუთება. 19. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი. 22. ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ანტიკურ ფილოსოფიაში. 23. საფრანგეთის რევოლუციური კალენდრის 11-ე თვე. 24. სხეულის ნაწილი. 26. ტროპიკული ქარი. 28. გარეული ფრინველი. 30. მძიმე ინფექციური დაავადება. 32. ფანჯარაზე ჩამოფარებული ქსოვილი. 35. წყლის ტრანსპორტი. 36. X ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თურქეთის ტერიტორიაზე. 37. ქიმიური ელემენტი, გაზი. 38. ფოთლოვანი ხე. 39. უძველესი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში.

ვერტიკალურად: 1. დიდი წარმატება, ეფექტი. 3. ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც დავალებული აქვს რაიმე საკითხის გარკვევა, შესწავლა. 4. თვე. 5. მკერავის იარაღი, ხელსაწყო. 6. გარეული ცხოველი. 7. ქველი. 8. მხარე რუსეთში. 9. ხილი. 12. გაარშიყება. 15. ქიმიური ელემენტი. 17. ჟორჟ-სანდის რომანი. 18. სამშენებლო მასალა. 20. ერთ-ერთი დიდი ტბათაგანი ჩრ. ამერიკაში. 21. ბიბლიური პერსონაჟი. 25. გულგრილობა, უხალისობა. 27. დასაწყისი შეჯიბრში. 28. ქართველი ფეხბურთელი. 29. სახელმწიფო აზიაში. 30. დროის მონაკვეთი. 31. 18-19-ე ს. გამოჩენილი ინგლისელი ფიზიკოსი. 32. მლიქვნელი, ორპირი. 33. 19-ე ს. ფრანგი კომპოზიტორი. 34. რაიმე მოვლენის, ფაქტის ერთ-ერთი ახსნა-განმარტ

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 2. არქიტექტურა 6. რაველინი 7. სიმეტრია 9. კადრი 10. ბუკლე 11. სტილი 15. იოფე 17. ტოლი 18. პულვერიზატორი 19. კოჯი 20. კიბე 23. ეტაპი 26. გრაფი 27. აბაკი 30. იზოჰიფსი 31. ატესტატი 32. არქაოგრაფია

ვერტიკალურად: 1. ველოდრომი 2. ანფილანდა 3. იკონია 4. ტერასი 5. არაბესკი 6. რავალინი 8. ამპირი 11. სანერგე 12. იერარქი 13. სეპია 14. ატიკი 16. ლიე 19. კაბუკი 21. ელინგი 22. ბაზილიკა 24. აკვალანგი 25. მანსარდა 28. ლისიპე 29. კამარა.

განცხადებები

იყიდება სამოთახიანი ბინა ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე. ტელ.: 29—35-15

* * *

ვყიდი ოროთახიან (ჩეხურ) სამოთახიან (თუხარელი) ბინებს ნუცუბიძის 4 მ-რ დასაწყისში, ფასი შეთანხმებით ტელ: 31-93-98.

იყიდება ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მეტრო დელიცის გვერდზე მეოთხე სართულზე ოროთახიანი კაპიტალურად გარემონტებული ბინა ტელეფონით. აქვს პირველ სართულზე 6 კვ.მ. და 4 მ. სიმაღლის ოთახი საკუჭნაოდ.

ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39—09—40

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია სამძიმარს უცხადებს პარტიის წევრს თამარ ვაშაყმაძეს, მამის

სერგო ვაშაყმაძის

გარდაცვალების გამო

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, ბელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 68447

ფასი 1000 რუბლი.
შ.კ. კუპონებში

ტელეფონები:

რედაქტორი:
93-20-36,

რედაქტორის მოადგილე,
პასუხისმგებელი მდივანი:

93-19-99
93-18-41